საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990107297486018

№19/2492

04 / ივლისი / 2018 წ.

შპს-ს "ალეგრო" (ს.კ. N204865271) დირექტორი
ციცინო ფუტკარაძე პ.ნ. N01001000999;
მის: ქ.თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N89,
სართული 2, ბ.N47;

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ თქვენი N2576 განცხადების საფუძველზე, 2018 წლის 23 მარტის N19/924 გაფრთხილების წერილით გათვალისწინებული ვადა გაგიგრძელდათ 2018 წლის 28 სექტემბრამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვალდებული ხართ, 2018 წლის 28 სექტემბრამდე შეასრულოთ 2018 წლის 23 მარტის N19/924 გაფრთხილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

წინააღმდეგ შემთხვევაში გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

უფროსი დავით ტყეშელაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990181952756718

№19/924

23 / მარტი / 2018 წ.

შპს-ს „ალეგრო“ (ს.კ. N204865271) დირექტორი ციცინო ფუტკარაძე პ.ნ. N01001000999;
მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N89, სართ N2, ბ.N47;

გაფრთხილება

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის N60-01180504773 წერილით ეცნობა, რომ ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N21-ში (ს/კ 01.18.03.064.039), კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე (ობიექტზე), თქვენს მიერ განხორციელდა შენობის (უძრავი ძეგლის) სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N2448554,(AR1375549, 23.02.2016წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, რასაც ასევე ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის N001484 დადგენილება, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

თქვენს მიერ განხორციელებული ქმედების გამოსწორებისა და განხორციელებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე გეძლევათ ეს წერილობითი გაფრთხილება, რომლის საფუძველზეც ვალდებული ხართ:

1. თქვენ მიერ ნაწარმოებ სამუშაოებზე, უზრუნველყოთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოპოვება - სამი თვის ვადაში;

2. მიღებული ნებართვის საფუძველზე უზრუნველყოთ ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N21-ში, მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა;

წინამდებარე გაფრთხილების შეუსრულებლობა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 10 000 ლარით, გამოუსწორებლობის შემთხვევაში

დაჯარიმებიდან 6 თვის ვადაში ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერი მოსარგებლეს) ყოველ ექვს თვეში ეკისრება წინა ჯარიმით განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა.

გაფრთხილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქ. N4) ერთი თვის ვადაში.

უფროსი

დავით ტყეშელაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ი. 1772-17
"27" 12 2017 წ.

დადგენილება №001185
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

27.12.2017წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 27 დეკემბრის №001185 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ალეგრო"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №204865271, დირ. ციცინო ფუტკარაძე, პირადი №01001000999, მის: ქ. თბილისი, სამღებროს ქ. №21, ნაკვეთი №64/39) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სამღებროს ქ. №21, ნაკვეთი №64/39, საკ. კოდი №01.18.03.064.039-ში შ.პ.ს. "ალეგრო"-ს მიერ განხორციელდა უძრავი ძეგლის რეკონსტრუქცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2448554 AR1375549 23.02.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადები: ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია, აივნების გაბარიტი და მოაჯირების ვიზუალი, ასევე შეცვლილია სამერცხლეების ვიზუალი. ფანჯრების ძირში დამატებულია დეკორატიული ქვა. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრის ვიზუალი, მასალა, გაბარიტი და ადგილმდებარეობა. ფასადებზე დამატებულია წყალშემკრები მილები, ანტენა, კონდენციორებერები და სანათები. ნაწილობრივ შეცვლილია აგურის წყობის და დეკორატიული კარნიზების ვიზუალი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერები და სანათები. „1-9" ფასადი: „1-2" მონაკვეთში +3.590 ნიშნულზე გაზრდილია ხის კოჭების რაოდენობა და დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერები, ამავე მონაკვეთში აივნებზე შეცვლილია რიკულების და ხის სვეტების ვიზუალი. „5-7" მონაკვეთში გაუქმებულია ლითონის ნაჭედი ალაყაფი და ღობე, ასევე შეცვლილია დაბალი კედლების კონფიგურაცია, ამავე მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია ხის სვეტები. +13.180 ნიშნულზე დამატებულია სამერცხლეები. „9-3" ფასადი : შეცვლილია ღებვის ფერი. +8.00 ნიშნულზე „6-4" მონაკვეთში მცირე ზომის ფანჯრებთან გაუქმებულია მცირე კაპიტალური კედელი და ლითონის გისოსები. +11.790 ნიშნულზე „4-5" მონკავეთში და მის მიმდებარედ შეცვლილია კედლების ფორმა. ამავე

მონაკვეთში ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი. „3-3” ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე, კარი, ბაქანი და ღობე. შენობის ძირში დამატებით მოწუობილია დეკორატიული ქვა. +8.60 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილია აგრეგატები ლითონის ცხაურით, მცირე ზომის ფანჯარა და გამწოვი მილები. „ზ-ა” ფასადი : „ზ-ვ” მონაკვეთში +3.590 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია ფანჯარა და მცირე ზომის ცხაური, ამავე მონაკვეთში +8.40 ნიშნულზე დამატებულია ლითონის ღობე. „ვ-დ” მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი, ასევე მოწყობილია ცხაური. „ვ-ა” მონაკვეთში გაზრდილია ხის კოჭების რაოდენობა, ამავე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჩრდილობლები ლითონის კონსტრუქციით. „გ*-ა” მონაკვეთში +4.910 ნიშნულზე შეცვლილია კიბის გადახურვის ფორმა. „დ-დ” ღერძთან დამატებით მოწყობილია ფანჯრები. შეცვლილია ტიხრების და კარებების რაოდენობა, ფორმა და ადგილმდებარეობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია გარე და საყრდენი კედლების გაბარიტი და სართულშუა ფილების ნიშნულები. შენობაში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. +2.46 ნიშნულზე შეცვლილია ანტრესორის ფილის ფორმა. შენობაში განხორციელებულია შიდა სარემონტო სამუშაოები. მეორე სართულზე „ვ-ზ” მონაკვეთში „1-1” ღერძთან მონაცვლებულია კედელი და გაზრდილია ფართი, ასევე შეცვლილია კედლის ფორმა „1-2” მონაკვეთში „ვ-ვ” ღერძთან. „ა-გ*” მონაკვეთში შეცვლილია ტერასის გაბარიტი. მესამე სართულზე „დ-ზ” მონაკვეთში „2-2” ღერძთან შეცვლილია ტერასის გაბარიტი, ასევე შეცვლილია „ვ-ვ” და „2-2” ღეძების კვეთაზე არსებული კედლების ფორმა, რის სახურავზეც დამატებით ტერასა, ლითონის ღობით. „დ-დ” ღერძთან დამატებულია ლითონის კიბე. მანსარდის სართულზე „დ-ვ” მონაკვეთში „3-3” ღერძთან სახურავის ნაცვლად მოწყობილია ტერასა, „დ-დ” ღერძზე დამატებით მოწყობილია ტერასაზე გასასვლელი კარი. დამატებით მოწყობობილია ლითონის სვეტები. „3-9” მონაკვეთში გაზრდილია მანსარდის სართულის ფართი. ფასადზე კიბეები ცდება საკადარასტრო საზღვრებს დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე.

2017 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001185 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №19/0117361786-17 27.12.2017წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. “ალეგრო”-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ა.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სამღებროს ქ. №21, ნაკვეთი №64/39, საკ. კოდი №01.18.03.064.039-ში შ.პ.ს. “ალეგრო”-ს მიერ განხორციელდა უძრავი ძეგლის რეკონსტრუქცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2448554 AR1375549 23.02.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე

ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ალეგრო" დაჯარიმდეს 2000 (ორიათასი) ლარით პროექტის დარღვევით II კლასის შენობა-ნაგებობის (უძრავი ძეგლის) რეკონსტრუქციისათვის;

2. შ.პ.ს. "ალეგრო"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ალეგრო"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე შ. ჯაყელი

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 19/01173631687-17
თარიღი: 29.12.2017 15:12
ვადა: 28.01.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ციცინო ფუტკარაძე პირადი ნომერი: 01001000999
მისამართი: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. კორ. 89 ბ. 44
საკონტაქტო ინფორმაცია: 599615500;
რეგიონი: თბილისი/დიდუბე

განცხადება/ნომენკლატურა

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

წარმოადგინა დადგენილება N 001185 დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი 2000ლარის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 1
- დანართი: -
- პასუხის გაგზავნა ფოსტით: არა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა:

ქალაქ თბილისი
მუნიციპალიტეტის მერია
№ 19/01173631687-17
29.12.2017 : 15:12
ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N7

ჯარიმა

№001185 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

დარღვევები:

ფასადები : ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია, აივნების გაბარიტი და მოაჯირების ვიზუალი, ასევე შეცვლილია სამერცხლეების ვიზუალი. ფანჯრების ძირში დამატებულია დეკორატიული ქვა. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრის ვიზუალი, მასალა, გაბარიტი და ადგილმდებარეობა. ფასადებზე დამატებულია წყალშემკრები მილები, ანტენა, კონდენციორებერები და სანათები. ნაწილობრივ შეცვლილია აგურის წყობის და დეკორატიული კარნიზების ვიზუალი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერები და სანათები.

„1-9" ფასადი : „1-2" მონაკვეთში +3.590 ნიშნულზე გაზრდილია ხის კოჭების რაოდენობა და დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერები, ამავე მონაკვეთში აივნებზე შეცვლილია რიკულების და ხის სვეტების ვიზუალი. „5-7" მონაკვეთში გაუქმებულია ლითონის ნაჭედი ალაყაფი და ღობე, ასევე შეცვლილია დაბალი კედლების კონფიგურაცია, ამავე მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია ხის სვეტები. +13.180 ნიშნულზე დამატებულია სამერცხლეები.

„9-3" ფასადი : შეცვლილია ღებვის ფერი. +8.00 ნიშნულზე „6-4" მონაკვეთში მცირე ზომის ფანჯრებთან გაუმქებულია მცირე კაპიტალური კედელი და ლითონის გისოსები. +11.790 ნიშნულზე „4-5" მონკავეთში და მის მიმდებარედ შეცვლილია კედლების ფორმა, ამავე მონაკვეთში ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი. „3-3" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე, კარი, ბაქანი და ღობე. შენობის ძირში დამატებით მოწუობილია დეკორატიული ქვა. +8.60 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილია აგრეგატები ლითონის ცხაურით, მცირე ზომის ფანჯარა და გამწოვი მილები.

„ზ-ა" ფასადი : „ზ-ვ" მონაკვეთში +3.590 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია ფანჯარა და მცირე ზომის ცხაური, ამავე მონაკვეთში +8.40 ნიშნულზე დამატებულია ლითონის ღობე. „ვ-დ" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი, ასევე მოწყობილია ცხაური. „ვ-ა" მონაკვეთში გაზრდილია ხის კოჭების რაოდენობა, ამავე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჩრდილობლები ლითონის კონსტრუქციით. „გ*-ა" მონაკვეთში +4.910 ნიშნულზე შეცვლილია კიბის გადახურვის ფორმა. „დ-დ" ღერძთან დამატებით მოწყობილია ფანჯრები.

შეცვლილია ტიხრების და კარებების რაოდენობა, ფორმა და ადგილმდებარეობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია გარე და საყრდენი კედლების გაბარიტი და სართულშუა ფილების ნიშნულები. შენობაში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. +2.46 ნიშნულზე შეცვლილია ანტრესორის ფილის ფორმა. შენობაში განხოვციელებულია შიდა სარემონტო სამუშაოები.

მეორე სართულზე „ვ-ზ" მონაკვეთში „1-1" ღერძთან მონაცვლებულია კედელი და გაზრდილია ფართი, ასევე შეცვლილია კედლის ფორმა „1-2" მონაკვეთში „ვ-ვ" ღერძთან. „ა-გ*" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის გაბარიტი.

მესამე სართულზე „დ-ზ" მონაკვეთში „2-2" ღერძთან შეცვლილია ტერასის გაბარიტი, ასევე შეცვლილია „ვ-ვ" და „2-2" ღეძების კვეთაზე არსებული კედლების ფორმა, რის სახურავზეც დამატებით ტერასა, ლითონის ღობით. „დ-დ" ღერძთან დამატებულია ლითონის კიბე.

მანსარდის სართულზე „დ-ვ" მონაკვეთში „3-3" ღერძთან სახურავის ნაცვლად მოწყობილია ტერასა, „დ-დ" ღერძზე დამატებით მოწყობილია ტერასაზე გასასვლელი კარი. დამატებით მოწყობობილია ლითონის სვეტები. „3-9" მონაკვეთში გაზრდილია მანსარდის სართულის ფართი.

ფასადზე კიბეები ცდება საკადარასტრო საზღვრებს დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე.

წამყვანი სპეციალისტი _____ / თ.ხიჯაკაძე

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

1865315923

GEL

თარიღი 29/12/2017 Date

თიბისი ბანკი
TBC BANK

შემომტანი
Depositor

ციცინო ფუტკარაძე,01001000999

ასლი

მიმღები ბანკი, კოდი

სს"თიბისი ბანკის" სც#22 მერიაში, TBCBGE 22

მიმღები
Receiver

სატრანზიტო ანგარიში ანგარიშის არმქონე რეზიდენტი კლიენტების გადარიცხვებისთვის

Copy

თანხა სიტყვიერად,ვალუტა
Bank name, code
Amount in words,currency

ორი ათას ორი ლარი 00 თეთრი

შემოტანის დანიშნულება
Description

ანგარიშზე თანხის შეტანა

დებეტი Debit

1003

კრედიტი Credit

GE11 TB18 6000 0451 1380 01

თანხა ციფრებით
Amount in figures

2,002.00 GEL

29/12/2017 3:22:15 PM

მოლარე
Cashier

ბ.ა.

TBC BANK TBCBGE22 186103

სალომე ბოკერია

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

საგადასახადო დავალება
Payment Order

1

GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი“

თარიღი / Date: 29/12/2017

გადამხდელი / sender

სატრანზიტო ანგარიში ანგარიშის არმქონე რეზიდენტი კლიენტების გადარიცხვ,

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE11TB1860000451138001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

ციცინო ფუტკარაძე

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

01001000999

მიმღები / ReceIver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code

300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილება N001185 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ საგადახდო დავალების ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:იმ შემთხვევაში, თუ ამ საგადახდო დავალების გრაფაში გადასახადის გადამხდელის დასახელება მითითებულია ჩემი სახელი და გვარი, ან ეს გრაფა საერთოდ არ არის შევსებული (ცარიელია), ამ საბუთში აღწერილ დავალებას ბანკს ვაძლევ მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ ვმოქმედებ სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ; არ მაქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან (შელ ბანკთან); არ ვარ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლში დასახელებული მეწარმე ფიზიკური პირი. „საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

რეფერენსი / Ref. Num.

1865315924

თანხა / Amount

2,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორი ათასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee

2 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date

29/12/2017

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

29/12/2017 3:22:16 PM

1865315924

სალომე ბოკერია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 001185

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 27.12.2017წ.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „ოლეანი“ ს/კ 204865271 ქ. ქუთაისი, კოსტავას ქუჩა N 10 (ბაზა 64/39)

ობიექტის დასახელება და მისამართი: სარეკონსტრუქციო მშენებლობის ობიექტი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N 21. ს/კ 01.18.03.064.039.

შემოწმებით დადგინდა: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. ქუთაისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 23.02.2016წ. N 2441854 გაცემული მიწათმფლობელობის არქიტექტურული პროექტი, რომლის შესაბამისად ობიექტის N 001185 შემოწმების აქტის შედგენისას (ეზოსკენ ფასადის)

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____ 29.12.17.

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

_____

_____

_____

განთავსების თარიღი